ცხადდება კონკურსი თსუ მაგისტრატურის საფეხურის პირველი და მეორე სემესტრის სტუდენტებისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის სტიპენდიების მოსაპოვებლად

<u>სამაგისტრო სტიპენდიების ჩამონათვალი სასწავლო მიმართულებების მიხედვით:</u>

- **ზალცბურგის უნივერსიტეტი (ავსტრია)**
  სასწავლო მიმართულებები (<u>ინგლისურენოვანი</u>): საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკის მეცნიერება (სავალდებულოა, ბაკალავრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობების ან/და პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით; სასურველია გერმანული ენის ცოდნა)
  მობილობის პერიოდი: 2019/2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი
  <u>https://www.uni-salzburg.at/index.php?id=52&L=1</u>
- **ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი (გერმანია)**
  სასწავლო მიმართულებები (<u>ინგლისურენოვანი</u>): ეკონომიკა, ბიზნესი, სოციალური და კულტურის მეცნიერებები
  სასწავლო მიმართულებები (<u>გერმანულენოვანი</u>): იურიდიული, ეკონომიკა, ბიზნესი, სოციალური და კულტურის მეცნიერებები
  მობილობის პერიოდი: 2019/2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი
  <u>https://www.europa-uni.de/en/index.html</u>
- **კორუნას უნივერსიტეტი (ესპანეთი)**
  სასწავლო მიმართულებები (<u>ინგლისურენოვანი</u>): იურიდიული, ბიოლოგია, ქიმია, კომპიუტერული მეცნიერება, მათემატიკა
  სასწავლო მიმართულებები (<u>ესპანურენოვანი</u>): იურიდიული, სოციოლოგია, ბიოლოგია, ქიმია, კომპიუტერული მეცნიერება, მათემატიკა, ესპანური ენა და ლიტერატურა
  მობილობის პერიოდი: 2019/2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი
  <u>https://www.udc.es/index.html?language=en</u>
- **უნივერსიტეტი პარიზი 8 (საფრანგეთი)**
  სასწავლო მიმართულებები (<u>ფრანგულენოვანი</u>): ფრანგული ფილოლოგია, კომპიუტერული მეცნიერება
  მობილობის პერიოდი: 2019/2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი
  <u>http://www.univ-paris8.fr/en/</u>
- **უნივერსიტეტი ლიონი 2 (საფრანგეთი)**
  სასწავლო მიმართულებები (<u>ფრანგულენოვანი</u>): ტურიზმი, ეკონომიკა, ისტორია, არქეოლოგია, იურიდიული, პოლიტიკის მეცნიერება, საერთაშორისო ურთიერთობები
  მობილობის პერიოდი: 2019/2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი
  <u>https://www.univ-lyon2.fr/www0-home-157320.kjsp?RF=WWW_EN</u>
- **ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი (გერმანია)**
  სასწავლო მიმართულებები (<u>გერმანულენოვანი</u>): აღმოსავლეთ ევროპისმცოდნეობა (ისტორია, პოლიტიკის მეცნიერება, საერთაშორისო ურთიერთობები, სოციოლოგია, ეკონომიკა)
  მობილობის პერიოდი: 2019/2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი
  <u>https://www.fu-berlin.de/en/index.html</u>
- **ლუნდის უნივერსიტეტი (შვედეთი)**
  სასწავლო მიმართულებები (<u>ინგლისურენოვანი</u>): გამოყენებითი ბიომეცნიერებები (კვების ბიოტექნოლოგია)
  მობილობის პერიოდი: 2019/2020 სასწავლო წლის შემოდგომის ან გაზაფხულის სემესტრი
  <u>https://www.lunduniversity.lu.se/</u>
- **ოსლოს უნივერსიტეტი (ნორვეგია)**

სასწავლო მიმართულებები (ინგლისურენოვანი): სკანდინავისტიკა
მობილობის პერიოდი: 2019/2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი
https://www.uio.no/english/

- **ზაარლანდის უნივერსიტეტი (გერმანია)**
  სასწავლო მიმართულებები (გერმანულენოვანი): გერმანული ენა, იურიდიული, ბიზნესი, ეკონომიკა, ბიოლოგია
  მობილობის პერიოდი: 2019/2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი
  https://www.uni-saarland.de/nc/startseite.html

კონკურსზე დაშვების წინაპირობა:

- ინგლისური, გერმანული, ესპანური ან ფრანგული ენის ცოდნის დამადასტურებელი B2 დონის დოკუმენტი (ინგლისური: მოქმედი TOEFL, IELTS ან უკანასკნელი 2 წლის მანძილზე აღებული CAMBRIDGE-ის სერთიფიკატი; გერმანული: TestDaF, DSH, DSD, Goethe Certificate - აღებული უკანასკნელი 2 წლის მანძილზე; ფრანგული: DELF, DALF - აღებული უკანასკნელი 2 წლის მანძილზე)
  ან
- თსუ ენის ინსტიტუციონალური ტესტირების დადებითი შედეგი (2018 წლის 9 ოქტომბერი; 2019 წლის 13 მარტი; მინიმუმ 71 ქულა)

სტიპენდიატთა შესარჩევი პროცესი:

- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

- პასპორტის ასლი
- CV-ს ევროპული ფორმატი (ინგლისურ ენაზე)
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (ინგლისურ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული)
- ნიშნების ამონაწერი (GPA-ის მითითებით, ინგლისურ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული)
- მოტივაციის წერილი (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ან ესპანურ ენაზე, არაუმეტეს ერთი გვერდისა; მოტივაციის წერილის 6 ეგზემპლარი ამობეჭდილი სახით უნდა წარმოადგინოთ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ პირველი კორპუსი, ოთახი 121) ა/წ 8 აპრილის 15 საათიდან 17 საათამდე დროის მონაკვეთში)
- რეკომენდაცია (რეკომენდაციის წარმოდგენა ხდება სტუდენტის მიერ განაცხადში მითითებული რეკომენდატორის მიერ ელექტრონულ სარეგისტრაციო სისტემაში განთავსებული კითხვარის შევსების გზით, რომელიც იგზავნება ავტომატურად კონკურსანტის მიერ მითითებულ რეკომენდატორის ელ-ფოსტაზე)
- შევსებული სასწავლო ხელშეკრულება (შეამოწმეთ სასურველი მასპინძელი უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, მოინიშნეთ თქვენთვის სასურველი საგნების ჩამონათვალი, კონსულტაცია გაიარეთ თქვენი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და მხოლოდ ამის შემდეგ შეავსეთ დოკუმენტი, რომელიც შევსების შემდეგ აუცილებელია დაამოწმოთ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის ხელმოწერით/ბეჭდით) დანართი 1
- ბაკალავრის დიპლომის სკანირებული ვერსია
- ბაკალავრის დიპლომის დანართი (GPA-ის მითითებით; ინგლისურ ენაზე)

- უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ენის საერთაშორისო სერთიფიკატი ან თსუ ენის ინსტიტუციური ტესტირების შედეგი/ცნობა)
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა/დოკუმენტი (ინგლისურ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული; არსებობის შემთხვევაში)
- სასურველი უნივერსიტეტების ჩამონათვალი (განაცხადის გაკეთება შესაძლებელია მაქსიმუმ 3 უნივერსიტეტზე!)

დაინტერესებული სტუდენტები უნდა დარეგისტრირდნენ ელექტრონულ სარეგისტრაციო სისტემაში - mobility.tsu.ge

ატვირთონ სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) და გადმოგზავნონ განაცხადი ა/წ 5 აპრილის 13:00 საათამდე!

სტიპენდია მოიცავს:

- უფასო სწავლა, ყოველთვიური სტიპენდია, ორმხრივი საერთაშორისო მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება
- შერჩეულმა სტიპენდიატებმა თავად უნდა აანაზღაურონ სავიზო მოსაკრებლისა და ყოველთვიური საერთაშორისო დაზღვევის ხარჯები!

დამატებითი ინფორმაცია:

- თსუ ენის ინსტიტუციური ტესტირების შედეგის/ცნობის მიღება შესაძლებელია reference@tsu.ge-დან; მოგვწერეთ ა/წ 30 მარტამდე სახელი და გვარი ქართულ/ინგლისურ ენაზე (როგორც ID-ში გაქვთ დაფიქსირებული), ფაკულტეტი, ჩაბარებული ენა და ცნობას მეილზევე მოგაწვდით სკანირებული სახით;
- გასაუბრებები იგეგმება ა/წ 11-12 აპრილს;
- გასაუბრებების განრიგი განთავსდება თსუ მთავარი გვერდის სიახლეების ბმულზე ა/წ 8 აპრილის დღის ბოლოს;
- გასაუბრების პერიოდში, საქართველოში არ ყოფნის შემთხვევაში, ინტერვიუს სკაიპით დაგეგმვის მსურველებმა უნდა მოგვწერონ ა/წ 5 აპრილის 18 საათამდე outgoingmobility@tsu.ge-ზე და მიუთითონ სკაიპით საკონტაქტო დეტალები;
- შესაძლოა, შეიცვალოს უნივერსიტეტების ჩამონათვალი, შესაბამისად, პერიოდულად შეამოწმეთ აღნიშნული განცხადება თსუ ვებ-გვერდზე!
- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში” ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის 492 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად დაუშვებელია გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება. მობილობის პროგრამაში მონაწილე სტუდენტი მშობლიურ უნივერსიტეტში ირიცხება, როგორც აქტიური სტუდენტი და შესაბამისად, სტუდენტმა ყველა სემესტრში უნდა გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია!
- დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს შემდეგი ელ-ფოსტის საშუალებით: **outgoingmobility@tsu.ge;**